# ლადო პაპავა:
# რქებით მიყვარს პრინციპების გატანა

გაზეთი “საქართველო XXI” – 13-19 თებერვალი, № 4, 2009

**ნომრის სტუმარია ეკონომიკურ მეცნიერებატა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა, რომელიც სარკეში მხოლოდ მაშინ იხედება, როცა თავს იწესრიგებს, თუმცა, ამისათვის დიდ დროს არ კარგავს, მაგრამ, ახლა იმ სარკეზე გვესაუბრება, რომელსაც სინდისი ჰქვია:**

– შევეცდები, გულახდილი ვიყო, – ამბობს ბატონი ლადო, – როცა რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებ, ვფიქრობ, ჩემი ამ საქციელით ზიანი ხომ არ მიადგება ჩემს შვილებსა და მშობლებს.

**– მხოლოდ შვილებსა და მშობლებს?**

– მშობელი ყოველთვის მზადაა, შვილს შეცდომა აპატიოს და პირიქით... ამიტომ ვფიქრობ ასე და იმაზეც ვფიქრობ, შვილებს ხომ არ შერცხვებათ იმისა, რომ ჩემი შვილები არიან. უფროსი ქალიშვილი 26 წლისაა, ვაჟი – 24, ხოლო პატარა ბიჭი – 6. ჩემი უფროსი შვილები ძალიან მიყვარს, ჩვენი ურთიერთობაც შესაბამისია, მაგრამ, როცა კაცი ოჯახს მეორედ შექმნი, ე.ი. რაღაც შეცდომა დაგიშვია.

**– თქვენი შეცდომების გამო მეგობრები თუ დაგიკარგავთ?**

– დამიკარგავს. შეცდომა, ალბათ, მათთანაც მომსვლია, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მეგობრებთან დამოკიდებულებაში შეცდომები ნაკლებად მქონია.

**– როგორი ხასიათი გაქვთ?**

– ზოდიაქოს ნიშნით ვერძი ვარ და მას სრულიად შევესაბამები.

**– ანუ ჯიუტი ხართ?**

– კი, რქებით მიყვარს ჩემი პრინციპების გატანა და თუ პირდაპირ მიაწვებით, ვერძი არ დაგითმობთ, შეიძლება გადაიჩეხოს კიდეც. ხოლო თუ მოეფერები, დაიყოლიებ. ოჯახში ძალიან ბუზღუნა ვარ, შეიძლება შეიძლება ნებისმიერ წვრილმანზე გავღიზიანდე, თუმცა მეუღლე ამას მშვიდად ხვდება და ვშოშმინდები.

**– ძალიან პუნქტუალური და პეწიანი ხართ?**

– პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს ყველაფრის მიმართ იმიტომ, ამ შეგნებით ვეკიდები ყველაფერს. შეიძლება, მძიმე ხასიათი მაქვს, ვერ ვიტან ღალატს, ტყუილს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ასეთი ადამიანების მიმართ თავს ვიტყუებ, არ მინდა, დავკარგო მეგობრები. ალბათ იმიტომ, რომ ორი მეგობარი ახალგაზრდა ასაკში გარდამეცვალა და ვფიქრობ, მხოლოდ სიკვდილი უნდა იყოს მეგობრობის შემწყვეტი.

**– 9 თვე ამერიკაში ცხოვრობდით, იმ პერიოდში ახალი თვისება ხომ არ აღმოაჩინეთ საკუთარ თავში, სად იგრძენით თავი უფრო კომფორტულად, აქ თუ იქ?**

– ამერიკაში ჩამოყალიბებული პიროვნება წავედი, ყმაწვილი არ ვყოფილვარ. ერთი მხრივ, ადვილი იყო ცხოვრება იმიტომ, რომ იქ ჩემი ტელეფონი არ ისმინებოდა. თავისუფლად გამოვდიოდი სხვადასხვა უნივერსიტეტში და ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი და არ მქონდა განცდა, ეს რით დამთავრდებოდა. ამან თავისუფლება მომცა. რთული იყო იმიტომ, რომ ჩემთვის იქაური ცხოვრების სტილი მიუღებელია. ვთქვათ, არა აქვთ ვალდებულება ახლო მეგობრის მიმართ, რათა შემდეგ არ იყვნენ მიბმული მასზე. მინდა საქართველოში ვიცხოვრო ისე, რომ თავისუფალი აზრის გამო არ ვისჯებოდე.

**– დაისაჯეთ?**

– რა თქმა უნდა!

**– 1994-2000 წლებში ეკონომიკის მინისტრი იყავით, ეტყობა, ხასიათში გაქვთ ლიდერის თვისებები?**

– მე მეცნიერი ვარ და არა დეპუტატი, მინისტრი ან პოლიტიკოსი. ცხოვრებამ მაიძულა პოლიტიკაში წასვლა. და ის ათი წელი, პოლიტიკაში რომ გავატარე, ცხოვრებისადმი ჩემი მიდგომიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ანომალიაა, ვიდრე კანონზომიერება.

**– ცუდ დროს მოგიწიათ მინისტრობა...**

– ახლა რა, კარგი დროა?

**– ქრთამი არ აგიღიათ? ვგულისხმობ ზედა ეშელონებში სრულიად ღია და დაუფარავ კორუფციას.**

– გულახდილად გეტყვით, თავი ანგელოზობაზე არასოდეს დამიდია; თუმცა. არც ისეთი შეცდომა დამიშვია, რომ მრცხვენოდეს. როგორც ასეთი, რასაც "ქრთამი" ჰქვია, არ ამიღია. არაფერი ისეთი ქონება არ გამაჩნია, ბიზნესი არა მაქვს, ამის ნიჭიც არა მაქვს. აქვე ვიტყვი, რომ საჩუქარი

მიმიღია, თუმცა არა კონკრეტული საქმის გაკეთებისათვის, ამიტომ მას ქრთამად არა ვთვლი.

**– ქვეყნის ეკონომიკას უძღვებოდით და ბიზნესის ნიჭი არა გაქვთ?**

– მერე რა? ეკონომიკის მინისტრი, რომელიც ბიზნესმენია, ქვეყნისათვის ცუდია. ბიზნესმენი მთავრობაში არ შეიძლება იყოს, ეს არის შეცდომა!

**– შანსი რომ მოგეცეთ, რას შეცვლიდით ტქვენს ცხოვრებაში ან ხასიათში?**

– რაც გავიარე, ეს ჩემი ცხოვრებაა, რაც ვარ, ისა ვარ, ჩემი ქცევის მსაჯული მე ვარ და ყოველთვის ვცდილობ, შეცდომა გამოვასწორო.

**– ეკონომიკის მინისტრობა რომ შემოგთავაზონ, უარს იტყვით?**

– ჩემთვის ეკონომიკის მინისტრობის შემოთავაზება შეურაცხყოფაა. ერთხელ უკვე ვიყავი, თუ შემომთავაზებენ, მეტი უნდა შემომთავაზონ (!). ექვსი წელი ვაშენებდი სამინისტროს ჩემი ჭკუით, ერთი ხელის მოსმით დამინგრიეს...

**– არც თქვენი მინისტრობის დროს ვიყავით, მაინცდამაინც, კმაყოფილი...**

– ჰო, ეს კარგად შენიშნეთ. ჩემი მინისტრობის დროს შემოვიღეთ საქართველოში ლარი, მაშინ მოედო ბოლო ღამ-ღამობით პურის რიგში დგომას და პურის ფასი ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით დადგინდა, საგარეო ვაჭრობაში კვოტირება და ლიცენზირება მოიხსნა. ეს არავის ახსოვს. დეპუტატი რომ გავხვდი, პარლამენტში ერთი კანონპროექტი არ შემიტანია. რა, მეზარებოდა? – არა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა. ბიუჯეტისათვის ხმა არ მიმიცია. ჩავარდა? – არა. ვერც თავისუფალი ეკონომიკური ზონა შევაჩერე. გირგვლიანის მკვლელობის შემსწავლელ კომისიას ხმა მივეცი. შეიქმნა? – არა.

ჩემი საპარლამენტო საქმიანობით საზოგადოების სიმპათია დავიმსახურე, ვიდრე მინისტრობის დროს, თუმცა მე პირიქით მივიჩნევ. მინისტრობის დროს საქმე მართლა გავაკეთე...

**თეა მოსია**